



## ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

### გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N 15

ქ. გარდაბანი



29/12/2021

15-06-4-202112291734

**გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრისა და სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ბ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, 53-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8, მე-19 მუხლების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს,

#### მუხლი 1

დამტკიცდეს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირება, თანამდებობრივი სარგოები და სამტატო ნუსხა დანართი №1-ის შესაბამისად.

#### მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის №31 დადგენილება „გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის

თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge); ვებ-გვერდი 20/04/2018; სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.161.016410).

### მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე

